განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი მაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

**ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი**
**სამართლის საბაკალავრო პროგრამა**

შეფასების თარიღ(ებ)ი
10.10.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 404987332 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სამართლის სამაგისტრო პროგრამა |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | სამართლის მაგისტრი |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ანა კლებეს-პელისე (ექსპრტთა ჯგუფის თავმჯდომარე) |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ნინო ბოგვერაძე, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ადვოკატი კორძაძის იურიდიულ ოფისში |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ვახტანგ ქვანია- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ნანა ფირცხელიანი - კავკასიის უნივერსიტეტის დოქტორანტი |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

**ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის (შემდგომში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება "უნივერსიტეტი") დაარსდა, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი 2013 წელს და განვითარების შედარებით ახალ საფეხურს წარმოადგენს საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობა არაკომერციულია, უმაღლესი სასწავლებელი, რეალისტური მისიის თანახმად, მიზნად ისახავს ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოებას ,,განათლების, კვლევისა და სიახლის დანერგვის ხელშეწყობით";

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი 2013 წელს დაარსდა და არ გააჩნია უმაღლესი განათლების სფეროში გრძელვადიანი გამოცდილება, ქართულ საზოგადოებაში მალევე მოიპოვა რეპუტაცია. უნივერსიტეტში დასაქმებულია საგულდაგულოდ შერჩეული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელსაც კარგი განათლება და, ასევე, ფართო პრაქტიკული გამოცდილება გააჩნია სათანადო სფეროში. პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, და შეესაბამება ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამის მიზნები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიის მოთხოვნებს სრულად შეესაბამება, არის რეალისტური და მიღწევადი. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია ნათქვამი, (გვ.7), „მისი დანიშნულებაა მოამზადოს პროფესიონალები შედარებითი კერძო და/ან საერთაშორისო სამართალში იმისათვის რომ შეძლონ საქმიანობის განხორციელება ეროვნულ, საერთაშორისო და ტრანსნაციონალური ინსტიტუციებში, რომლებიც მოღვაწეობენ საერთაშორისო ბაზარზე“.

ასევე შეიძლება იმის ხსენებაც, რომ უნივერსიტეტს აქვს ძლიერი საერთაშორისო პარტნიორობის პოლიტიკა და მას, ასევე, იყენებს სამაგისტრო პროგრამის გასავითარებლად და გასაუმჯობესებლად.

სტუდენტზე ორიენტირებული სამაგისტრო პროგრამა მათ სთავაზობს კვალიფიციურ აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ/პროფესიონალ პერსონალს და ხელმძღვანელებს. მათი კვალიფიკაციები და რაოდენობა, სრულიად ადეკვატურია მოსალოდნელი სწავლის შედეგების მისაღწევად და სამართლებრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სასწავლო / სამეცნიერო / მოწვეული პერსონალი საკმაოდ ცნობილია ეროვნულ სასწავლო და პროფესიულ გარემოში, რასაც საკმაოდ წარმატებული და პრაქტიკული გამოცდილება მოაქვს და მხარს უჭერს პროგრამის მიმდინარე ინოვაციურ პროცესს.

**აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2018 წლის 10 ოქტომბერს. სხვადასხვა მნიშვნელოვანი შეხვედრები იყო ორგანიზებული, თვითშეფასების გუნდთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთნ, სამაგისტრო ტემის ხელმძღვანელებთან (სამივე პროგრამასთან მიმართებით). ორგანიზებული იყო დაწესებულების ინფრასტრუქტურის დათვალიერება (ბიბლიოთეკები, საკლასო ოთახები, ოფისები, შენობები, სადაც გამოვლინდა საკმაოდ აქტიური და ინოვაციური საინფრასტრუქტურო პოლიტიკა);

სხვადასხვა ჩატარებული ინტერვიუდან მივიღეთ: პირველ რიგში, ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც ზემოთ ხსენებული პროგრამის ორგანიზებას შეეხება (ინოვაციური, აკადემიური პერსონალის მაღალი ხელმისაწვდომობა, სტუდენტთა ხელმძღვანელობის მაღალი დონე); აკადემიური.სამეცნიერო პერსონალის, ასევე პროფესიონალების/დამსაქმებლების მაღალი ჩართულობა სწავლების და ხელმძღვანელობის აქტივობებში. მეორე რიგში, წარმოაჩინეს სამაგისტრო სწავლების ორგანიზების სერიოზული და ინოვაციური გზები. როგორც ირკვევა, ამ დონეზე, სხვა მსგავსი პროგრამა არ არსებობს, სადაც სტუდენტები მაქსიმალურად ჩართულები არიან და მიმართულება აქვთ თავიანთ მუშაობაში, რეგულარულ დონეზე. სწავლების მეთოდი სრულყოფილად შეეფერება ტრადიციული სწავლის მეთოდების აუცილებელ ადაპტაციას საზოგადოებისა და ადგილობრივი, ეროვნული თუ საერთაშორისო შრომის ბაზრის ევოლუციასთან. საგნები, რომლებიც ისწავლება სასარგებლოა და პროგრამაზე არსებობს სასწავლ თემათა ფართო სპექტრი. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული, აღწერილი და განსაზღვარვს ცოდნას და უნარებს რომელიც ექნება კურსდამთავრებულს. პროგრამის სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ იქნა კვლევები თიუნინგის მეთოდოლოგიის გამოყენებით რის საფუძველზეც განისაზღვრა დამსაქმებელთა სამიზნე ჯგუფები: მოსამართლეები, ადვოკატები, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები. აღნიშნული მიუთითებს კვლევასა და ეროვნულ, ადგილობრი და საერთაშორისო ხედვაზე პროგრამის ორგანიზების მიზნით.

- **სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის შეჯამება**

  ექსპერტთა ჯგუფს გააჩნია საბოლოო პოზიტიური წარმოდგენა პროგრამასა და მის შინაარსზე, განსაზღვრებაზე, სტრუქტურაზე და შესაბამისობაზე. ასევე აკადემიურ და პროფესიოლ მოთხოვნებზე, უნივერსიტეტის სტრატეგიაზე და სტრატეგიულ გეგმაზე როგორც აკადემიურ ასევე კურიკულუმის კომპეტენციებთან დაკავშირებით. ჯგუფზე შთაბეჭდილება დატოვა იმათ თუ როგორი ინოვაციური, სტუდენტზე და ბაზარზე ორიენტირებული იყო პროგრამა. ძირითადი მიზანი და სწავლის შედეგები საშუალებას აძლევს სტუდენტს გამოიმუშაოს საჭირო სამართლებრივი კომპეტენციები და უნარები, განახორციელონ პრაქტიკა როგორც ნაციონალურ ასევე საერთაშორისო გარემოში. პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები კარგად არის განსაზღვრული. სასწავლო რესურსები (ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება და აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, მატერიალური რესურსი, ბიუჯეტი) მორგებულია პროგრამის მიზანს და სამომავლო განვითარებას. (იხილეთ ასევე დასკვნაში ასახული ინფორმაცია).

- **რეკომენდაციები**
- შეფასების კრიტერიუმები პროგრამის სილაბუსების უმეტეს ნაწილში ერთი და იგივეა, ერთადერთი განსხვავება ქულების გაყოფაშია.ექსპერტთა ჯგუფი სთავაზობს თითოეული სილაბუსის პირადი ინტერესების, თვალსაზრისის, კურსის სპეციფიკის მიხედვით ორგანიზებას, რაც უზრუნველყოფს თითოეული ლექტორის აკადემიური თავისუფლების დაცვას.
- **რჩევები**
- კურიკულუმის გარე აქტივობების გაფართოება. კვლევითი აქტივობები და სტუდენტებისათვის კონფერენციების ორგანიზება;
- უფრო მკაფიოდ განსაზღვრული ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ჩამოყალიბება. გაცვლითი პროგრამების შემუშავება სტუდენტებისათვის.

- ბაზრის მოთხოვნების მუდმივი ანალიზი;
- ლექტორების უზრუნველყოფა დეტალური უკუკავშირით, რაც მირებული იქნა სტუდენტებისაგან კურისი დასრულების შემდგომ.
- მეტი უკუკავშირის მიწოდება ლექტორებისათვის (როგორც ზეპირი ასევე წერილობითი სახით);
- სტუდენტთა (საერთაშორისო) მობილობის გაუმჯობესება;
- (თუ კანონმდებლობით ნებადართულია) ინტერდისციპლინური სწავლება/კვლევის უზრუნველყოფა სამართლის სკოლაში/უნივერსიტეტში;
- მუშაობის გაგრძელება არსებულ და ახალ საერთაშორისო პარტნიორებთან იმისათვის რომ პროგრამის დახვეწის მიზნით გამოყენებული იქნას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;
- საერთაშორისო სტრატეგიის უფრო დეტალური გაწერა;
- მუშაობის გაგრძელება ინტერნაციონალიზაციის მიზნით, საერთაშორისო პრექტების რაოდენობის გაზრდა როგორც აკადემიური პერსონალისათვის ასევე სტუდენტებისათვის, საერთაშორისო კონფერენციების რეგულარულად ორგანიზება, კვკევითი აქტივობების შემუშავება და ა.შ.
- თუ მმართველობის ორგანიზების ფორმა, სხვა პარამეტრებთან ერთად, ხელს უწყობს სამეცნიერო და კარიერის განვითარებას, შესაძლებელია მისი რეგულარული გამოყენება (მაგრამ არაა სავალდებულო), შეხვედრები აკადემიურ / სამეცნიერო პერსონალთან გამოცდილების გაზიარებისა და გაძლიერებისათვის როგორიცაა, მაგალითად, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე კოლექტიური კვლევითი პროექტები, ასევე სამეცნიერო და კარიერული განვითარებისათვის.ეს არასასავალდებულო წინადადება რა თქმა უნდა, არის უშუალოდ, ინტერვიუს დროს, აღნიშნულის შედეგი.
- იმ შემთხვევაშიც კი თუ ელექტრონული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია, სასარგებლო იქნება თუკი სტუდენტებს ექნებათ სამართლის სხვადსხვა სფეროს განახლებული წიგნები.
- უნივერსიტეტმა / სამართლის სკოლამ შეიძლება, თავისი მიზნების უკეთესად მისაღწევად, სცადოს სტუდენტებისთვის საგრანტო პოლიტიკის დახვეწა (მაშინაც კი, როდესაც უკვე არსებობს ფონდის გრანტები) და უფრო გასარკვევად აღწეროს ბიუჯეტის პროექტში.ეს, ასევე, ხელს შეუწყობს პროგრამის მიმზიდველობის გაზრდას.
- შეიძლება საინტერესო იყოს ევროპულ / საერთაშორისო ხარისხის უზრუნველყოფის პროცესისათვის მიმართვა, როგორც იქნა შემოთავაზებული, მაგალითად, EUA-ს (ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია) მიერ.ამგვარი ინიციატივა, ასევე, შეუწყობს ხელს ეროვნულ და საერთაშორისო ხილვადობას.
- მიუხედავად იმისა რომ პროგრამა პოპულარულია, უფრო მეტი ცნობადობის მიღწევა, მარკეტინგული სტრატეეგიის შექმნა იმისათვის, რომ მიიძიდონ და დააბალანსონ ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა (ვებ გვერდი, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მიღება მაგალითისათვის: EAIE, NAFSA და ა.შ. ).

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ორმხრივად ჰარმონიულია და ერთმანეთზე ახდენს გავლენას, ამავე დროს, სწავლის შედეგები ზუსტად ეფუძნება იმ მეთოდებს, რომლებსაც შედეგების დასაუფლებლად იყენებენ.
- ე.წ. „სწავლება კეთებით, სწავლება სწავლით" - მეთოდი ძალიან მოქნილია და სარგებლიანი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური ან მოწვეული პროფესორებისთვის. საგანმანათლებლო პროცესში ამ მეთოდის დანერგვა მას მიმზიდველს და საინტერესოს ხდის, განსაკუთრებით, როდესაც სწავლის პროცესში არსებობს უნიკალური შესაძლებლობა იყო აქტიურად ჩართული საკმაოდ ძლიერ იურიდიულ კლინიკაში.სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ რეალურ სასამართლო სხდომებსა და განხილვებში. მათ ასევე შეუძლიათ მოამზადონ და წარუძღვენ სასამართლო სხდომებს თავიანთი ტუტორის დახმარებით.
- ე.წ. „სწავლება კეთებით, სწავლება სწავლით" - მეთოდი ძალიან მოქნილია და სარგებლიანი როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური ან მოწვეული პროფესორებისთვის. საგანმანათლებლო პროცესში ამ მეთოდის დანერგვა მას მიმზიდველს და საინტერესოს ხდის, განსაკუთრებით, როდესაც სწავლის პროცესში არსებობს უნიკალური შესაძლებლობა იყო აქტიურად ჩართული საკმაოდ ძლიერ იურიდიულ კლინიკაში.სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ რეალურ სასამართლო სხდომებსა და განხილვებში. მათ ასევე შეუძლიათ მოამზადონ და წარუძღვენ სასამართლო სხდომებს თავიანთი ტუტორის დახმარებით.
- უნივერსიტეტის მიდგომაა სწორად განსაზღვროს და განავითაროს დროის განაწილების უნარი, იმისათვის რომ სტუდენტმა სწორად განსაზღვროს საკითხი და მივიდეს სპეციფიკურ გადაწყვეტილებამდე. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სტუდენტებისათვის რომლებიც არიან პრაქტიკოსი იურისტები. თემის წარმოების პროცედურა სწორად არის მართული და საბოლოო შედეგეი მარტივად მისაღწევია. უნივერსიტეტი ფლობს არაერთ საინტერესო საკითხს თემის თვალსაზრისით რომელიც მნიშვნელოვანია ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე.
- სწავლების უნიკალური მეთოდი (სწავლება სწავლებით) მნიშვნელოვანი ფასეულობაა პროგრამისათვის.
- სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარება.
- ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი თემატიკის სწავლება.
- კულაიფიციური აკადემიური პერსონალის და პრაქტიკოსების მიერ ჩატარებული ლექციები და მათი მოქმედების დამოუკიდებლობა.
- უახლესი იურიდიული კლინიკა.
- სტუდენტების რაოდენობა ჯგუფში.
- ადმინისტრაციის მართველობის რეგულაციები/პროცესი.
- მაგისტრის ხარისხის ორენოვანი პროცესი.
- იმიტირებულ სასამართლო პროცესებში მონაწილეობა.
- ინტერნაციონალიზაციის პროცესი.
- სამაგისტრო პროგრამა საკმაოდ პოპულარულია. თანამედროვე სწავლების მეთოდები მიმზიდველს ხდის პროგრამას როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო სტუდენტებისათვის. საგანი როგორიც არის (შედარებითი კერძო და საერთაშორისო სამართალი) პროგრამას ხდის უფრო საინტერესოს.

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ბალანსი რაც უფრო ღირებულს ხდის პროგრამას.
- კარიერული განვითარების მართვის/შიდა ხელმძღვანელობის მეთოდი.
- საერთაშორისო ასპექტზე ორიენტირებული სტრატეგია.
- ძალიან აქტიური ინფრასტრუქტურის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მომავალს.
- ბიუჯეტის ორიენტირება იმ ყველა სახის აქტივობაზე, რომლებშიც სტუდენტები არიან ჩართული (იმიტირებული სასამართლო პროცესი და სხვა).ბიუჯეტის ორიენტირება მოწვეული პერსონალის მნიშნელოვან რაოდენობაზე (პრაქტიკოს იურისტებზე), რომელთა არსებობაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მოემზადონ პროფესიული ცხოვრების/ან კვლევისთვის.ფინანსურად პრაქტიკული, სასარგებლო საგნების, თემათა ფართო სპექტრის მხარდაჭერა.

- **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა ან/და პროგრესის შეჯამება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან.პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას.პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა სტუდენტებში განვითარებასაც ისახავს მიზნად ეს პროგრამა.ისინი ასევე ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის (შემდგომში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება "უნივერსიტეტი") დაარსდა, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი 2013 წელს და განვითარების შედარებით ახალ საფეხურს წარმოადგენს საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობა არაკომერციულია, უმაღლესი სასწავლებელი, რეალისტური მისიის თანახმად, მიზნად ისახავს ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოებას ,,განათლების, კვლევისა და სიახლის დანერგვის ხელშეწყობით"; (თვითშეფასების ანგარიში - მე-10 |

გვერდი).
თვითშეფასების თანახმად, პროგრამის ძირითადი ამოცანაა სხვა ამოცანებთან ერთად, რომ „ მოამზადოს პროფესიონალები შედარებითი კერძო და/ან საერთაშორისო სამართალში, შეძლონს მოქმედება და საქმიანობა ეროვნულ, საერთაშორისო და ტრანსანციონალურ ინსტიტუციებში საერთაშორისო ბაზარზე“. (თვითშეფასების ანგარიშის მე-7 გვერდი). პროგრამის ძირითადი მიზანია გადასცეს სტუდენტებს არა მხოლოდ თეორიული ცოდნა და საკანონმდებლო აქტების და კანონების განმარტებები, არამედ უზრუნველყოს მათთვის პრაქტიკული უნარების გამომშავება იმისათვის რომ შეძლონ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რაც ასევე გამომდინარეობს საქართველოს დასაქმების ბაზრის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნიდან.
სამაგისტრო პროგრამის ამოცანები თანმიმდევრულია უსდ-ს მისიასთან, რეალისტურია და მიღწევადი და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს:
1.მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი 2013 წელს დაარსდა და არ გააჩნია უმაღლესი განათლების სფეროში გრძელვადიანი გამოცდილება, ქართულ საზოგადოებაში მალევე მოიპოვა რეპუტაცია. უნივერსიტეტში დასაქმებულია საგულდაგულოდ შერჩეული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელსაც ძლიერი განათლება და, ასევე, ფართო პრაქტიკული გამოცდილება გააჩნია სათანადო სფეროში.ასეთი პროფესიონალების მიერ შექმნილი და გადმოცემული კურსები სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მიიღონ არამხოლოდ თეორიული ცოდნა შესაბამის საგანში, არამედ შეისწავლონ მისი პრაქტიკაში გამოყენებაც. არჩევითი კურსების სიმრავლე და ფართო არჩევანი, კურსების შინაარსი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს ისწავლონ ქართულ და ინგლისურ ენებზე რაც ასევე ეხმიანება ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს და ასახავს გამოწვევებს და განვითარების პერსპექტივებს სამართლებრივ სფეროში. ყოველივე აღნიშნული მატერიალური რესურსის გათვალისწინებითაც მეტყველებს იმაზე, რომ პროგრამის ამოცანები რეალისტური და მიღწევადია.
2.უნივერსიტეტში მოქმედი სისტემა, რომლის თანახმადაც თითოეულ სტუდენტს აქვს იმის თავისუფლება და შესაძლებლობა, რომ შექმნას საკუთარი პროფილი არჩევითი კურსების შერჩევით, შეესაბამება უნივერსიტეტის მთავარ ამოცანას, რომელიც გულისხმობს „პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელშემწყობი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებას“ (უსდ-ს წესდება, მუხლი 3).პროგრამა სთავაზობს მხოლოდ ორ სავალდებულო საგანს - შედარებითი კერძო და საერტაშორისო სამართალი. დამატებით, სისტემის თანახმად რომელიც სთავაზობს აღნისნულ კურსებს პირველ სემესტრში შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს განავითაროს საჭირო კომპეტენციები ორივე კონცენტრაციისათვის. შესაძლებლობა რომელიც აქვს სტუდენტს თავად შექმნას ინდივიდუალური პროფილი არჩევითი საგნების მეშვეობით სხვადასხვა საკითხზე გააძლიერებს მის ცოდნას კონკრეტულ სამართლის დარგში. აღნიშნული ნამდვილად გახლავთ პროგრამის ერთერთი პოზიტიური ფაქტორი. აღნიშნული სისტემა ითვალისწინებს სტუდენტს როგორც ერთერთ დაინტერესებულ მხარეს და მეტყველებს უნივერსიტეტის სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომაზე (თვითშეფასების ანგარიში, ინტერვიუ სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან). უნივერსიტეტი მხედველობაში იღებს, რომ მათი ძირითადი გამოწვევაა ის, რომ სტუდენტებს შესთავაზონ უფრო მეტი არჩევითი საგანი რაც მიმართული იქნება პიროვნების თავისუფალ განვითარებაზე. თუმცა ასევე პოზიტიური კუთხით არის აღსანიშნავი ის გარემოება რომ უნივერსიტეტი სიფრთხილეს იჩენს აღნიშნული განვითარების დროსაც. ფოკუსირება ხდება არა უშუალოდ არჩევითი საგნების რაოდენობის გაზრდაზე არამედ თავად საგნების შინაარსზე, ლექტორის გამოცდილებაზე და ბაზრის მოთხოვნებზე.
3.პროგრამა, თავისი კურსების მეშვეობით, სადაც გათვალისწინებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია, სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, განვითარდეს კვლევის დარგში და განავითაროს პრაქტიკული უნარები იმისათვის რომ

| |
|---|
| ჩამოყალიბდეს პრაქტიკოსი იურისტი. სტუდენტის შესაძლებლობა გამოაქვეყნონ თავიანთი თემები უნივერსიტეტის ჟურნალში, ორგანიზება და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა კონფერენციებში და იმიტირებულ სასამართლო პროცესებში თავიანთი პროფესორების/ლექტორების დახმარებით ცხადყოფს რომ პროგრამის ამოცანები მიღწევადია. თუმცა უმჯობესი იქნება თუკი უნივერსიტეტი გააფართოებს აღნიშნულ მიმართულებებს და მეტად წაახალისებს აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს და სტუდენტებს უფრო მეტი კურიკულუმის გარე აქტივობების განხორციელებაში. ასევე სასურველია თუკი უნივერსიტეტი უფრო გულდასმით იმუშავებს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაუმჯობესებაზე მეტი გაცვლითი პროგრამების შეთავაზებით.<br>4.სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები იძლევა „მარტივი ბიუროკრატიის" სისტემის არსებობის შესახებ მტკიცებულებას:როგორც ინტერვიუს დროს უსდ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, ეს არის სიახლე, შესაძლებლობების სფერო, სადაც პროფესორები მართავენ და ყველა ჩართულია.მაშინ, როდესაც სტუდენტები და ლექტორები სრულად იზიარებენ უმაღლესი სასწავლებლის მისიას და სამაგისტრო პროგრამის მიზნებს, ლექტორებს აქვთ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების საშუალება საკუთარი კურსების თვალსაზრისით.სტუდენტებს ადვილად შეუძლიათ ადმინისტრაციასა და ლექტორებთან დაკავშირება იმ საკითხებზე, რაც მათ აწუხებთ.<br>პოზიტიურად უნდა შეფასდეს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაცია, რომ სამაგისტრო პროგრამა შეიქმნა და შემუშავდა სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით, ჯგუფური მუშაობის პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული პროგრამის შექმნასა და შემუშავებაში მონაწილეობდნენ ადმინისტრაცია, სტუდენტები, აკადემიურ/მოწვეული პერსონალი (მათი უმრავლესობა იმავდროულად პრაქტიკოსი იურისდი და დამსაქმებელია).<br>სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა არა მხოლოდ ინტერვიუერის მიერ უმაღლესი სასწავლებლის მისიისა და სამაგისტრო პროგრამის მიზნების ღრმა ცოდნა, არამედ მათი მონაწილეობა მიზნების მიღწევის პროცესში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>o უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდება<br>o თვითშეფასების ანგარიში<br>o ინტერვიუები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან<br>o აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV<br>o სამაგისტრო პროგრამის კურსები |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:<br>▪ კურიკულუმის გარე აქტივობების გაფართოება. კვკევითი აქტივობები და სტუდენტებისათვის კონფერენციების ორგანიზება;<br>▪ უფრო მკაფიოდ განსაზღვრული ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ჩამოყალიბება. გაცვლითი პროგრამების შემუსავება სტუდენტებისათვის. |
| საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 1.2.პროგრამის სწავლის შედეგები |
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამართლის სამაგისტრო პროგრამა განსაზღვრავს, რომ „ პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარება ხელს უწყობს ინდივიდს გაიფართოვოს აზრი, სამართლის არსის გაგება და მისი გლობალიზაცია“ გაიუმჯობესოს „ ანალიტიკური, პრობლემის გადაწყვეტის და კვლევის უნარები, გამოიკვლიონ და განავითარონ საკუთარი საჭიროებები და ჩამოიყალიბონ მაღალი დონის კომუნიკაციის უნარები“ (თვითშეფასება მე-7 გვერდი).<br>პროგრამა სთავაზობს მხოლოდ ორ სავალდებულო საგანს - შედარებითი კერძო და საერთაშორისო სამართალი. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს კონცენტრირება მოახდინოს კომპეტენციებზე რომელსაც აირჩევს კერძო და საერთაშორისო სამართალში და გაიგოს პროგრამის არსი და სული. სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა შექმნან ინდივიდუალური პროფილი არჩევითი კურსების არჩევის გზით რომელიც გააღრმავებს მათ ცოდნას სამართლის კონკრეტული მიმართულებით. აღნიშნული გახლავთ დადებითი ფაქტორი პროგრამისა.<br>პროგრამა ფოკუსირებულია სწავლებაზე თეორიისა და პრქტიკული კომპონენტების ერთობლიობით, პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება ერთერთი ძირითადი ასპექტია შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე. ხშირად აღინიშნება სტუდენტების მხრიდან პრაქტიკული უნარების სიმცირე სხვადასხვა უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს შორის. კურსები ისწავლება არა მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ რომელთაც გააჩნიათ აკადემიური ხარისხი და გამოცდილება დარგში, არამედ მოწვეული პერსონალის და ასისტენტ პროფესორების მიერ რომლებიც არიან მოსამართლეები, ადვოკატები და პრაქტიკოსები. გააჩნიათ მაღალი კვალიფიკაცია და შესაძლებლობა ეფექტურად განავიტარონ სტუდენტთა პრაქტიკული უნარები იმისათვის რომ შეძლონ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. სამაგისტრო |

პროგრამის კურსების შინაარსი ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლის ბაზრის მოთხოვნებს და ასახავს გამოწვევებს და განვიტარების პერსპექტივებს სამართლის სივრცეში.
უნივერსიტეტში ფუნქციონირებს იურიდიული კლინიკა რომელიც მნიშვნელოვანი სასწავლო სივრცეა პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიზნით. სტუდენტებს საშუალება აქვთ თავიანთი თეორიული ცოდნა განახორციელონ პრაქტიკაში კონსულტაციების გაწევით, სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტების შედგენით (ხელშეკრულებები), საჩივრების განხილვით, სასამართლო პროცესებში მონაწილეობის მირებით და ა.შ. პოზიტიურად უნდა აღინიშნოს რომ სტუდენტების ზედამხედველები იურიდიულ კლინიკაში არიან პრაქტიკოსი ადვოკატები რომელთაც გააჩნიათ ცოდნა და გამოცდილება იმისა რომ უხელმძღვანელონ და ასწავლონ სტუდენტებს და განავითარონ მათი პრაქტიკული უნარები. იურიდიული კლინიკის სამუსაოს მოცულობა 2018 წლის იანვარი -სექტემბრის პერიოდში ასახავს 126 ბენეფიციარს (კლიენტს) რაც მეტყველებს იმაზე, რომ სტუდენტები სიღრმისეულად არიან ცართულები სხვადასხვა სამართლებრივი პრობლემური საკითხის გადაჭრაში კლინიკის ფარგლებში.
„მარტივი ბიუროკრატიის“ სისტემის არსებობა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს მარტივად დაამყაროს კომუნიკაცია ადმინისტრაციასთან და ლექტორებთან მათთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. ადმინისტრაციას და აკადემიური/მოწვეული პერსონალი ითვალისწინებენ იმას, რომ სტუდენტები არიან პროგრამის ამოცანების და სწავლის შედეგების მთავარი შემფასებლები. თუმცა სასურველია თუკი ლექტორები უზრუნველყოფილნი იქნებოდნენ უფრო დეტალური უკუკავშირით სტუდენტების შეფასებების შემდგომ კურსის დასრულებისას.
პოზიტიურად უნდა შეფასდეს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაცია, რომ სამაგისტრო პროგრამა შეიქმნა და შემუშავდა სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით, ჯგუფური მუშაობის პრინციპის საფუძველზე.აღნიშნული პროგრამის შექმნასა და შემუშავებაში მონაწილეობდნენ ადმინისტრაცია, სტუდენტები, აკადემიურ/მოწვეული პერსონალი (მათი უმრავლესობა იმავდროულად პრაქტიკოსი იურისდი და დამსაქმებელია).
უნივერსიტეტმა უნდა გადადგას შემდგომი ნაბიჯები, რათა გააუმჯობესოს კარიერული მხარდაჭერის სერვისები მისი კურსდამთავრებულებისათვის და შეიმუშავოს უფრო ეფექტური დასაქმების პოლიტიკა, რათა კოორდინირება გაუწიოს კომუნიკაციას კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებლებს შორის, ასევე უწყვეტად ჩაატაროს შრომის ბაზრის ანალიზი, რათა უზრუნველყოს იქ არსებულ სტანდარტებთან სრული შესაბამისობა.
უნივერსიტეტს კარგად აქვს გაცნობიერებული შრომის ბაზრის მოთხოვნების უწყვეტი ანალიზის, ასევე სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან, განსაკუთრებით დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან მუდმივი კომუნიკაციისა და მათი გადაწყვეტილების მიღებისა და სწავლის შედეგების გაზომვის პროცესში ჩართვის აუცილებლობა, სწორედ ამიტომ შეიმუშავებს შესაბამის გეგმებს, სამომავლო გაუმჯობესებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV
- სამაგისტრო პროგრამის კურსები
- იურიდიული კლინიკის ანგარიში, იანვარი-სექტემბერი 2018წ.

| |
|---|
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br><br>o შრომის ბაზრის მოთხოვნების უწყვეტი ანალიზი;<br>o კურსდამთავრებულებისათვის კარიერული მხარდაჭერის გაუმჯობესება და უფრო ეფექტური დასაქმების პოლიტიკის შემუშავება;<br>o კურსის დასრულების შემდეგ, სტუდენტებისგან მიღებული დეტალური უკუკავშირის მიწოდება ლექტორებისთვის. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაზე მიღების წესი არის გამჭვირვალე, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული კანდიდატებისათვის და ყველა კანდიდატს შესაბამისი ცოდნით, უნარებითა და ღირებულებებით სთავაზობს თანაბარ პირობებს მონაწილეობისათვის.<br>მაგისტრატურაზე ჩარიცხვის პროცესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.ყველა დაინტერესებულ კანდიდატს, ბაკალავრის ხარისხის და ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის მქონეს აქვს შესაძლებლობა, აქვს შესაძლებლობა გაგრძელოს სწავლა სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე. პროგრამის მიხედვით, მათ ვისაც სურთ ისწავლოს სამაგისტრო საფეხურზე უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული მისაღები გამოცდები, ხოლო შემდეგ ჩააბარონ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები როგორც მიღების წინაპირობა პროგრამაზე. მათ ვისაც არ ექნება B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი უნდა ჩააბარონ გამოცდა ინგლისურ ენაში. მიღების პროცედურების მიზანია შეირჩეს ის კონტიგენტი რომელსაც გააჩნია ცოდნა და შეძლებს ისწავლოს სამაგისტრო პროგრამაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o სამაგისტრო პროგრამა<br>o თვითშეფასების დოკუმენტი<br>o ვებ-გვერდი<br>o აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუები<br>o ინტერვიუ მაგისტრატურის სტუდენტებთან |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

**შეფასება**

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა
შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის
შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული
და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთანპროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის
შედეგების მიღწევას.მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება და შემუშავებულია სამართლებრივი მოთხოვნებით. პროგრამა აერთიანებს თანამედროვე მიდგომებსა და დამოკიდებულებას, აკმაყოფილებს თანამედროვე საბაზრო მოთხოვნებს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩარიცხვის წინაპირობებს. გარდა ამისა, სწავლის შედეგების მიღწევის პროცესი გამჭვირვალეა და აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს.
პროგრამა აგებულია ისე, რომ სტუდენტებს შეუძლიათ კომფორტულად განახორციელონ მეოთხედის მეცადინეობები. კურსებით გარანტირებულია, რომ სტუდენტს შეეძლოს სათანადო დისციპლინის არჩევა.
პროგრამა ემყარება „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" პრინციპს, რომელიც უნივერსიტეტს აძლევს შესაძლებლობას უწყვეტად ჩაატაროს მონიტორინგი, სწრაფად გამოავლინოს პრობლემები და დაგეგმოს შესაბამისი ზომები პრობლემების აღმოსაფხვრელად.
პროგრამაში ბევრი არჩევითი საგანია, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას დაგეგმოს სემესტრი თავისი ინტერესების შესაბამისად. ასევე უნდა აღინიშნოს პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტის მნიშვნელობა. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაიაროს პრაქტიკა უნივერსიტეტის იურიდიულ კლინიკაში, რომელიც სწორად ფუნქციონირებს და აქვს უამრავი რეალური ქეისი და სწორედ ამიტომ აძლევს აღნიშნული კლინიკა სტუდენტს რეალურ გამოცდილებას.
პროგრამა მოიცავს მხოლოდ ორ სავალდებულო კურსს „ევრკავშირის სამართალი" (ქართული ან ინგლისური) და სამაგისტრო თეზისი. აღნიშნული სტუდენტებს აძლევს მეტ დამოუკიდებლობას გაიღმაონ მათთვის საინტერესო მიმართულებები და ამავე დროს აქტიურად ჩაერთონ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების დოკუმენტი
- ვებ გვერდი
- აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუები
- ინტერვიუ სამაგისტრო სტუდენტებთან

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3 სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამა აერთიანებს კვლევას და თეორიას რაც იძლევა უკეთეს შედეგს. პროგრამის არჩევითი ნაწილის თანახმად, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ კვლევითი კომპონენტი ინტერესიდან გამომდინარე, რის გარანტიასაც იძლევა არჩევითი საგნების ფართო ჩამონათვალი.
რაც შეეხება კრედიტების რაოდენობას და კონკრეტული კურსის შედეგებს, კრედიტები, კურსის შინაარსი და მისი მოცულობა ერთმანეთს უკავშირდება.ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად, სტუდენტმა, მთლიანობაში, უნდა მოაგროვოს 120 კრედიტი იმისათვის რომ დაეუფლოს მაგისტრის ხარისხს.
უნივერსიტეტის ფლობს ერთ-ერთ ყველაზე ხარისხიან მონაცემთა ელექტრონულ ბაზას HeinOnline, რომელიც ყველა დაინტერესებულ მხარეს საშუალებას აძლევს ჩაატაროს კვლევა ნებისმიერ სფეროში; ეს არის წინგადადგმული ნაბიჯი კვლევის პროცესში და არ ზღუდავს მათ არჩევანს.ეს სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, დაინტერესების შემთხვევაში, ჩაერთოს მნიშვნელოვან პროცესში.გარდა ამისა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია საჭირო ლიტერატურა, იმისათვის რომ განახორციელონ კვლევითი სამუშაოები საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების დოკუმენტი
- აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუები
- ინტერვიუ მაგისტრატურის სტუდენტებთან
- ელექტრონული ბიბლიოთეკისმონაცემთა ბაზა
- ბიბლიოთეკა
- სილაბუსი

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული,სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
